საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW - PUBLIC SAFETY COMMAND CENTER „112“
OF THE MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 3 22 03348772

28/11/2022

ბატონ თორნიკე ხუფენიას (პ/ნ: 62002007439)
მის.: ქ. თბილისი, ვარკეთილის მე-3 მასივი
ტელ.: 579151164
ელფოსტა: foi+request-1208-9720ee17@askgov.ge

ბატონო თორნიკე,

მიმდინარე წლის 22 ნოემბრის N3308019 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ წარმოადგენს გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერს, რომელიც იღებს გადაუდებელი დახმარებისთვის საჭირო პირველად ინფორმაციას, რაც მნიშვნელოვანია შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი გადაუდებელი დახმარების რესურსის განსასაზღვრად.

გაცნობებთ, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ში შემოსული შეტყობინებების კლასიფიკაცია ხდება ზარის ინიციატორის მიერ მოწოდებული პირველადი ინფორმაციის საფუძველზე. თითოეულ განხორციელებულ ზარზე „112“-ის ოპერატორის (ზარის მიმღების) მიერ პროგრამულად განისაზღვრება პრობლემის ანუ ინციდენტის ტიპი. ინციდენტის ტიპის მინიჭების მიზანია არა შეტყობინების ზუსტი შინაარსობრივი შესაბამისობის დადგენა საკანონმდებლო დისპოზიციასთან მიმართებით, არამედ შემთხვევის პრიორიტეტის და მასზე რეაგირებისათვის გასაგზავნი გადაუდებელი დახმარების რესურსის განსაზღვრა.

განგიმარტავთ, რომ ძაღლების მიერ ადამიანებზე თავდასხმის შემთხვევები ერთიანდება შემდეგი ინციდენტის ტიპების ქვეშ: „ნაკბენი ცხოველის“ და „ცხოველის მიერ მიყენებული სხეულის დაზიანება“. აღნიშნული ინციდენტის ტიპები მოიცავენ ნებისმიერი ცხოველის ნაკბენთან და ნაკაწრთან დაკავშირებით შემოსულ შეტყობინებებს. “ცხოველის მიერ მიყენებული სხეულის დაზიანება“, ასევე მოიცავს, მწერების და ფეხსახსრიანთა ნაკბენის შემთხვევებსაც. ზემოაღნიშნული ინციდენტის ტიპებით დარეგისტრირებული შეტყობინებების ერთობლიობიდან ცხოველთა სახეობების დიფერენციაცია ხდება მხოლოდ საქმის კომენტარებისთვის გამოყოფილ ტექსტურ ველში („შენიშვნის ველი“), არაშაბლონურად. აქედან გამომდინარე, თქვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ ექვემდებარება სტატისტიკურ დამუშავებას.

პატივისცემით,

საჯარო სამართლის იურიდიული
პირი-საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის
ცენტრი ,,112"
ადმინისტრაციის (სამმართველო)
უფროსის მოვალეობის დროებით შემსრულებელი
რობაქიძე სალომე